სამშობლო

ხუთშაბათი
10 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტ[illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 306 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 306

ტელეფონი № 76.

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

უკანასკნელი გამოსათხოვარი

ქალაქი ქუთაისი წარმოდგენა № 29 ქალაქის თეატრი
სპექტაკლი, თბილისის ანსამბლის დრამის
მსახიობთა მიერ
ხუთშაბათს, 10 მარტს 1916 წ.
წარმოდგენილი იქნება
აბა შეიჩვენეთ რა გაქვთ თქვენ
პიკანტური ფარსი. სამ მოქ. საბუროვისა.
მონაწილეობს მთელი დასი.
კომედიას დადგამს ვ. ი. იავორსკი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
86 1—1

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მაბრეშუმეებს, რომ
მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

დაიბეჭდა და გასაყიდად დაურიგდა თ. მთავრიშვილის და ამხ. მიერ გამოცემული ს. გ. გორგაძის თხზულება
ქართული მართლწერა
ფასი 40 კაპ. წიგნი იყიდება ქუთაისში—გამომცემელის წიგნის მაღაზიაში, თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიასა და ს. მერკვილაძესთან, ხონში მინა ჰავჰანიძესთან.
81 10—3

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ექიმი ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა,
1 ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №
14 46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ მარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი,
ოთხშაბათიდან, 9 მარტიდან ახალი პროგრამა:
ვერ აიტანა სირცხვილი.
თანამედროვე დრამა სამ ნაწილად, მოპასანის რომანიდან, ცნობილ მსახიობების: ვერხოვეცკის და სალტიკოვის მონაწილეობით.
ანტოშა კორსეტმა დაღუპა. კომედია—ფარსი 2 ნაწილად, ანტონ ფერტნერის მონაწილეობით
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა:—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. მოწაფეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კ.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
ოთხშაბათიდან, 9 მარტიდან ახალი პროგრამა:
მომტვრეული ფრთები.
კინო დრამა, რომელმაც თავის დროზე დიდი ხმაურობა გამოიწვია, 6 ნაწილად. მონაწილეობენ საიმპერატორო თეატრის მსახიობები: კარალლი და პოლონსკი
შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ. მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე,
11 სახლი № 2. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარე მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

ოფიციალი 7 მარტი. დვინის ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლა ცხოველდება. ტვერჩის აღმოსავლეთით გერმანელთა კონტრიერიში „დიდი სოფლის“ დასაკავებლად რუსის ჯარმა ადვილათ მოიგერია. გოდუციშკთან რუსებმა წინა ბრძოლის პირზე გერმანელებს თხრილები წაართვეს. სიმაგრე მიხალჩეს აღების დროს რუსებმა ორი ზარბაზანი წამოიღეს, სხვა ნადავლის რაოდენობა ჯერ არ გამოურკვევიათ.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის ნაპირა რაიონში რუსების ჯარმა ბრძოლით წინ წაიწია დასავლეთის მიმართულებით.

— —

დანარჩენი დეპეში იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ადმირალ ტირპიცის გადადგომის მიზეზი.

გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ კოპენჰაგენიდან დეპეშით აუწყებენ გერმანეთის მთავარ ადმირალის, ტირპიცის, ადგილიდან გადადგომა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ იგი გერმანეთის ფლოტის გაშლილ ზღვაში გასვლის წინააღმდეგი გახდა. აქედან დაასკვნიან — ფლოტი კილიდან, სადაც ახლა იგი იმყოფება, გაშლილ ზღვაში გავა.

გერმანელთა მომავალი შეტევა.

„რუსკი ინვალიდი“ სწერს: ერთ-ერთ ჩვენს სამხედრო მიმოხილვაში აღნიშნული იყო, რომ, თუ გერმანეთის იერიშები ვერდენზე უნაყოფო დარჩა, მაშინ გერმანელების დიდი ძალების გადმოყვანას რიგადვინსკის ფრონტზე უნდა მოველოდეთო.

საფრანგეთ-ბელგეთის ფრონტზე დიდი ოპერაციები ძნელათ საფიქრებელია. უფრო შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ ახლა რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტზე მოსალოდნელ შეტევის წინა ვდგევართ. უნდა ველოდეთ, რომ იკსკიულისა და ილუქსტის საგანგებოთ გამაგრებულ რაიონში ისეთი ბრძოლის ცეცხლი დაინთება, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ არ ყოფილა.

მეორე სამხედრო ჟურნალი „მთავრობის უწყებაც“ ამავე აზრისაა.

ხმები არეულობაზე.

კოპენჰაგენის კორესპონდენტების გადმოცემით, ერთი ნეიტრალი მოგზაური, რომელიც ჰამბურგიდან კოპენჰაგენში მოვიდა, ამბობს, რომ ჰამბურგის ქუჩებში პოლიციასა და ხალხს შორის შეტაკება მოხდა.

ბევრი დაჭრილი და მოკლული ეყარა ქუჩებში.

ჰამბურგში ხმა გავრცელდა, რომ ბერლინში და სხვა ქალაქებშიაც ასეთივე არეულობა მოხდა და მსხვერპლიც დიდი შეიწირაო. ასეთი ხმები გვესმის გერმანეთის ხალხის მღელვარებაზე

ვერდენთან ბრძოლის შესახებ.

„ბირჟევია ვედომოსტის“ სიტყვით, საფრანგეთის პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ გერმანელების ვერდენთან აწინდელი ბრძოლა დემონსტრატიულ ხასიათს მიიღებს გერმანელები თავის მოქმედების ცენტრს ამიერიდან სადმე სხვაგან გაიჩენენ. ამნაირათ ვერდენთან ბრძოლა დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს.

გერმანელებმა ამ ბრძოლაში, მათი ანგარიშით, სულ 250,000 კაცამდე დაჰკარგეს.

საყურადღებო ინციდენტი პარლამენტში.

საფრანგეთის პარლამენტის უკანასკნელი სხდომა მეტად მშფოთვარე იყო. რადიკალმა აკამბარემ, ყოფილმა აფიცერმა ყოფილ სამხედრო მინისტრს, გალლიენის და საერთო საფრანგეთის ჯარების ხელმძღვანელების წინააღმდეგ გაილაშქრა. ერთით ერთი კრიტერიუმი წინამძღოლის დასაფასებლათ: ამბობდა ის, არის მხოლოდ ბრძოლაში მისი გამარჯვებაო. მართალია წინამძღოლს დამარცხებაში ხშირად ბრალი არ მიუძღვის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი სახელი და ავტორიტეტი მისი დამარცხების დღიდანვე გამქრალია. ამ სიტყვებზე თავმჯდომარემ ორატორი შეაჩერა და შენიშნა, რომ არ შეიძლება ასეთი სიტყვების ხმარება მაშინ, როდესაც ვერდენთან მოძმეთა სისხლი იღვრებაო. კრება ამ სიტყვებს ტაშის ცემით შეხვდა შემდეგ რადიკალმა აკამბრემ ფრონტიდან მოსული „წერილის წაკითხვა მოინდომა, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მისცა. პარლამენტმა დიდი ხმის უმეტესობით აკამბრეს სიტყვა წაართვა.

ბრძოლა მესოპატამიაში.

როგორც გაზეთი „ვისტუოლს“ აუწყებენ, ინგლისელები ბაღდადისაკენ მიიწევენ: მესოპატამიის დედა ქალაქს სულ ორასიოდე ვერსზე დაუახლოვდენ. ოსმალებიც ყოველ ღონეს ხმარობენ: ბაღდადის დასაცველად დიდი ძალები მოაგროვონ.

ძალების გადაყვან-გადმოყვანა.

იტალიეთის გაზეთების გადმოცემით ოსმალებმა ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრებაზე ხელი აიღეს. ისინი ახლა მესოპატამიის დაცვას ფიქრობენ, გაზეთი „აღევერულის“ აზრით ავსტრიეთ-რუმინეთის საზღვრების ათი დღით დახურვა იმ მიზეზით მოხდა, რომ ავსტრიეთს განზრახვა აქვს აქედან და უნგრეთიდან ჯარები ვერდენისაკენ გადაიყვანოს. სულ სამი კორპუსი გადაიყვანეს ავსტრელებმა ვერდენთან, თავისი არტილერიით და ამუნიციით. სჩანს გერმანელებს ავსტრელნიც მიეშველენ, რაც ვერდენის ბედს ახლო მომავალში გამოარკვევს

სახელმწ. სათათბირო.

სხდომას ვარუნ სეკრეტი თავჯდომარეობს. იხილავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეებს. სახელდობრ ებრაელთა დევნას, ხურდა ფულის საკითხს, სანოვაგის გაძვირებასა და სხვ. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ზამისლოვსკიმ, რომელმაც იხმარა სიტყვა ,,ჟიდი''. მის წინააღმდეგ ფიცხელი პროტესტი განაცხადა აკაკი ჩხენკელმა და ზამისლოვსკის საჯაროთ ხულიგანი უწოდა. სკობელევმა სხდომაზე დარჩენა არ ინება. შინგარევმა ზამისლოვსკის უპასუხა. დეპუტატები დარბაზიდან გადიან. სხდომა შეწყდა. მეორე დღის სხდომაზე ბარონ ბემენდორფი შეეხო რუსეთში გერმანელთა ძალმომრეობას და გერმანელთა კოლონისტების შესახებ განაცხადა: რუსეთში მოსახლე გერმანელნი ვალდებულნი არიან ყველა მოქალაქეზე წყნარად, თავდაბლად და ამასთანავე არსებულ კანონების პატივისმცემელნიც უნდა იყვნენო. დღეს იბადება კითხვა, სთქვა ორატორმა, თუ რუსეთის საზოგადოება ერთსულოვნათ აღშფოთებულია რუსეთის ძალმომრეობის წინააღმდეგ უნდა შემუშავებულ იქნას კანონპროექტი მათთან საბრძოლათ. ბემენდორფის სიტყვა დააკავეს. სხდომა შესწყდა.

სხდომას ვარუნ სეკრეტი თავჯდომარეობს. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა თ-მა ვოლკონსკიმ წამოაყენა საკითხი დამსახურებულ პირთა პენსიების მოსპობის შესახებ, რომელიც ხაზინას მეტ მძიმე ტვირთად აწევსო. ამ საკითხის განხილვა გადაიდვა. სხდომა შესწყდა

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა იგივეა, რაც გუშინ.

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე რუსის ჯარი შავი ზღვის პირათ რამდენიმე ვერსით კიდევ წინ წავიდა.

რუსეთისა და ავსტრო-გერმანეთის საზღვარზე დაწყებული ბრძოლა ნელ ნელა ღვივდება: დვინსკის სამხრეთ რაიონში ორივე მხარე საარტილერიო ბრძოლას განაგრძობდა; ხოლო დ. ტვერეჩის ახლო დიდი სოფლის უკანვე დასაბრუნებლად გერმანელებმა იერიშით წამოსვლა სცადეს, მაგრამ რუსებმა იგი მოიგერიეს. გოდუციშკისთან, როგორც უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი გვატყობინებს, რუსეთის ჯარმა გერმანელების მოწინავე ხაზზე რამდენიმე სანგარი იერიშით აიღო. გალიციაში სიწყნარე ჩამოვარდა.

საფრანგეთ-ბელგეთისა და გერმანეთის ფრონტზე საყურადღებო არაფერი მომხდარა ბელგეთში იპრთან და სხვაგან ორივე მხარე ჩვეულებრივ საარტილერიო ბრძოლას განაგრძნობდა. მხოლოდ ერთ ადგილას გერმანელებმა მოულოდნელად ინგლისელთ თავს დაესხენ და სანგრებიდან გაძევება დაუპირეს, მაგრამ ინგლისელებმა მალე გააბრუნეს ისინი უკანვე. ვერდენთან 7 მარტს გერმანელების ცდა, რომ ბეტანკურმორმატის პოზიციები მალანკურის მხრიდან შემოევლოთ და ასე ფრანგები წრეში მოემწყვდიათ, დასრულდა იმით, რომ მათ მხოლოდ მალანკურის ტყე დაიკავეს და ამ გზით ცოტათი წინ წამოვიდენ.

სხვაგან—ბალკანეთში სალონიკის რაიონში ჯერ ჯერობით მხოლოდ დარაჯთა ჯგუფებ შორის ხდება შეტაკებები გევგელის წინააღმდეგ ფრანგებმა მძიმე არტილერია აამოქმედეს.

ქრონიკა

რუსეთი.

ხვოსტოვის საქმის გამოძიება.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ ხვოსტოვის მოქმედების გამოძიება მისივე ყოფილ თანაშემწეს ბელეცკის მიანდვეს. ბელეცკი მხოლოდ თავისი რეაქციონირობით არის ცნობილი.

სუხომლინოვი.

ყოფილმა სამხედრო მინისტრმა, სუხომლინოვმა, რომლის საქმეს ზემო პალატის დეპარტამენტი სამშაბათს გაარჩევს, რომელზედაც გენერლები როოპი და სელივანოვი დაესწრებიან, სუხომლინოვმა სამხედრო ფორმა თურმე სულ გაიძრო: ალბათ კარგს რასმე აღარ მოელის.

მივაქციოთ ყურადღება ლაზისტანს.

ყოველს დაწყებულ საქმეს სჭირია ბოლომ ე დასრულება, იმავე ენერგიითა და გულ მხურვალობით განგრძობა, როგორითაც აღინიშნა ის დასაწყისშივე. მხოლოდ ის ინდივიდუმი, გინდ ერთეული შესძლებს რაიმე საქმის სერიოზულად და თვალსაჩინო შედეგებით დაგვირგვინებას, რომელიც დაწყებისთანავე, ვიდრე დასრულებამდი, ცოცხალი ტემპით და უდრეკი ენერგიით შესძლებს ამა თუ იმ საქმის გაძღოლას.

ქართულმა საქველ მოქმედო საზოგადოებამ შესაფერისი უნარი გამოიჩინა იმ სამოქმედო სფეროში, რომელიც ნაკარნახევია ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი მდგომარეობით. მისმა ცოტა ხნის მუშაობამ თვალსაჩინო კვალი დააჩნია ჩვენს გულსა და არსში. მან საკმაო ენერგია, მოქმედების ნიჭი და საქმიანობის უნარი გამოიჩინა თავისი მოვალეობის ასასრულებლათ, საჭიროა შემდეგშიაც უფრო გაცხოველებული წყურვილით და საჭირო ლონისძიებით განგრძობა მუშაობისა ფრიად სიმპატიურის და მაღალი მიზნების მისაღწევათ, რომელსაც ემსახურება საქველ მოქმედო საზოგადოება

ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი და ისტორიული სამსახური, რომელიც გაუწია საქვ.—მოქმ საზოგადოებამ თავის ქვეყანას, ქართველ-მაჰმადიანთათვის ზრუნვაა. ამ სფეროში შემდეგშიაც გვმართებს დიდი მუშაობა, დიდი ენერგია და დიდი საქმის გაკეთება. დაცარიელებული საუკეთესო მხარე ჩვენი ტერიტორიისა მოითხოვს მოვლა-პატრონობას, რათა მგლებმა და ტურებმა არ გაიხადონ იგი თავის ბატონობისა და მტაცებლობის სამოქმედო ბუნაგად... თავის მიწა-წყალს და კერას მოგლეჯილნი გადახვეწილნი შვილნი ჩვენი ქვეყნისა მოითხოვენ მამულ დედულში დაბრუნებას; წაქცეული ოჯახი აღდგენას არიან ისეთი ცხოველები, რომელთაც თუ რომელიმე ნაწილი ორგანოსი მოაშორე, მოგლიჯე, მეორე ნაწილი რამდენიმე ხანს ისევ განაგრძობს ორგანიულ ცხოვრებას, მაგრამ ის ვერას დროს ვერ მოიხვეჭს პირველყოფილ მთლიანობას და დამახინჯებული სახით დაასრულებს თავის ფერ-მკრთალ სიცოცხლეს.

ერი, რომელიც დაკარგავს თავის ეროვნული სხეულის საუკეთესო ნაწილს, ის ვერას დროს ვერ მიიღებს ღირსეულ სახეს, ვიდრე დაკარგულს უკანვე არ დაიბრუნებს...

ბოლო დროს რუსის მხედრობა თანდათან იწევს მცირე აზიის შუაგულისაკენ იგი იკავებს ზოგიერთ სტრატეგიულ პუნქტს მანვე დაიკავა ძველი ჰანეთის დიდი ნაწილი, სადაც ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულე ჰანები ანუ ლაზები. ეს მხარე ერთი შესანიშნავი ნაწილთაგანია საქართველოს საერთო სხეულისა. ის აგრეთვე შესანიშნავია თავისი ისტორიული წარსულით. ძველ დროში ლაზები განთქმულნი იყვნენ ალებ მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებაში, აგრეთვე ცნობილნი, როგორც საუკეთესო მეზღვაურნი, გემთა აშენებელნი და საერთოდ კულტუროსანი ხალხი. როდესაც ჰერანსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომები იმართებოდა, ხშირად ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო ლაზისტანის სამთავრო ჰერანის ბრძანებელს ხოსრო მეორეს მოსვენებას არ აძლევდა ელინური კულტურის გავლენა ამ ფრიად ფხიზელსა, სიცოცხლით სავსესა და მდიდარ ხალხზე. ის ხან დიპლომატიური მოლაპარაკებით ბიზან. იმპ. ჰერაკლესთან და ხან იარაღის საშვალებით სცდილობდა ლაზისტანი თავის გავლენის სფეროში მოექცია... ლაზისტანი ლაზისტანად დარჩა.. ხოლო ოსმალთა გაბატონების შემდეგ, ის გადაიქცა ტრაპიზონის ვილაეტის ნაწილად, ლაზისტანის სანჯაკად. მას შემდეგ დრონი იცვალენ. ძველი კულტურა დაეცა, ხალხმაც მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ ქართული ენა, (მეგრული) ზნე-ჩვეულება და მრავალი ტიპიური თვისება ქართველისა თითქმის უცვლელად დარჩა ვაჭრობის უნარი, მეზღვაურობა და ალებ მიცემა დღესაც განვითარებულია მათში. ოსმალეთის სატახტო და სხვა ქალაქებში ბევრი ლაზია—მსხვილი ვაჭრები. რუს ოსმალთა წარსული ომის დროს საკითხი აღიძრა ლაზისტანის სანჯაკზე. ამ ქვეყანას ისე, როგორც აჭარას, რუსეთი შეიერთებდა, რომ ინგლისს ხელი არ შეეშალა და დიდი წინააღმდეგობა არ გაეწია ოტომანთა იმპერიის ხარჯზე რუსეთის საზღვრების გაფართოებისათვის; ხოლო მცირე ნაწილი ლაზსტანისა მურღულის რაიონი რუსეთმა შეიერთა და და ნარჩენი—კი ისევ ოტომანთა ხელში დარჩა.

მიუხედავათ იმისა, რომ ლაზისტანი ოსმალთა სამფლობელოს შეადგენდა, ჩვენ შეძლება გვქონდა მათი გაცნობისა, მათზე ცნობების შეკრებისა და მათთან სულიერათ დაკავშირებისა. ეს ჩვენ არ მოგვიხდენია. ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება მათ შესახებ. ახლა-კი, როცა დიდი ნაწილი ამ ქვეყნისა რუსეთმა დაიკავა, ჩვენი მოვალეობაა ახლავე საქმეს შევუდგეთ საჭიროა ლაზისტანის იმ ადგილებში, რომელიც ჩვენს ლაშქარს უკავია, ჩვენმა საქველმოქმედო საზოგადოებამ გაგზავნოს რამდენიმე მისი წარმომადგენელი მეგრულის მცოდნენი, მით უმეტეს, რომ იქვე იმყოფება დიდი ნაწილი სამშობლოდან გადევნილ-გარეკილი აჭარლებისა, რომელნიც სიმშილ-წყურვილით სიცივით და უსახლ-კარობით იხოცებიან. საჭიროა წასვლა და მათი თავის ოჯახში დაბრუნება საქველ მოქმედო საზოგადოების გამგეობამ ამაზე ჯეროვანი შუამდგომლობა და ზრუნვა არ უნდა დააყოვნოს.

ბ. ჯიანი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

მისაბაძი მაგალითი. ქუთაისის ებრაელებმა, გვირგვინის მაგიერ, ფულით 42 მან. დახმარება აღმოუჩინეს გარდაცვალებულის ქუთაისის მომრიგებელ მოსამსართლის ბოქაულის ბესარიონ ანდრიას ძის გაბადაძის ცოლშვილს, რადგან იგი ებრაელთა და სხვათა შე ედულებით ერთად ერთი უმწკივლო და მიუდგომელი მოხელე იყო.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 8 მარტს სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში შემდგარ კრებაზე დაადგინა იჯარით აიღოს აჭარის 48 სოფელი გამგეობამ ამის გამო უკვე გაგზავნა თავისი წარმომადგენელი აჭარაში 10 მარტს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი ნუმერი.

◆ ქუთაისში 3 აპრილს გამოვა ალმანახი ფურცელი: „ამხანაგი“, დაიბეჭდება სტატიები შემდეგ თემაზე: 1. საერთაშორისო ომი და ინტერნაციონალი 2 დღევანდელი საჭირბოროტო საკითხები. 3. ძველი და ახალი (დასელები და ნაციონალისტები 1890 წლიდან). 4. მუშათა საქმე: პრესა, პროფესიონ. კავშირები, საავადმყოფო კასები, კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები 5. ჟურნალ გაზეთების გამოცემის საქმე ქუთაისში 1906 წლიდან 6. მოთხრობები და ლექსები. 7. დაბა სოფელი და სხვა. ფასი ცალკე ნომერი 5 კაპ. შემოსავლის ნახევარი გადაიდება აჭარლების სასარგებლოთ.

მასალები და სხვა ცნობა მიიღება შემდეგი მისამართით:

ქუთაისი, სტამბა ხელაძისა, სერგო ჯინჭველაშვილს

◆ ქუთაისის კლასი[illegible] დირექტორი სთხოვს ქალაქ[illegible] დაუყონებლივ მიეცეს სასწავლებ[illegible] ლაქზე დარჩენილი [illegible] ქამათ სასწავლებ[illegible] რეობაშიაო.

◆ თბილისის სათავად აზნაურო ბ გამგეობა სთხოვს ქუთაისის ქალაქ გეობას შეიტანოს მათ მამულზე დ ნილი გადასახადი, რომელიც დაგრ ლი აქვს ბანკს, თორემ გაიყიდება ს ვაჭრობით 12 აპრილამდი.

◆ 3 მარტს დ აბაშის 2 კლ. სა ბო სასწავლებლის მახლობლათ ნახეს ახლათ დაბადებული ბავშვი.

◆ ჰიათურის მაღაროების ბო ნიშნავენ ქუთაისის სამაზრო სამ ლოს საქმის მწარმოებელს ღოღობ

◆ ქ. ფოთის მცხოვრები ქვდია (ა ჭუპია) ლომაია ქუთაისის გუბერნატორ ვალდებულებ' დადგენილების დარღვევ დააჯარიმა 25 მ; ზესტაფონის ვაჭარი ილ ი. თხელიძე 25 მ. ქ. ქუთაისის მ რები სიკ. ს. თირაძე 15 მან. და ქ ვაჭარი მიხეილ მარ. ლეკვიძე 25 მ.

◆ დაჯარიმება. ქუთაისის გუბ ტორმა 500 მანეთით დააჯარიმა ქუ ფქვილის ვაჭარი იოსებ შაბათას რაფაელ იოსების ძე კაკიტელაშვ ფქვილის არსებულ ნიხრს ზევით ვისათვის.

◆ ხვალ კონცერტი ქუთაისის ქარ თეატრში, გამოჩენილი სკრიპკაზე ვრელი ვირტუოზე მარგარიტა ბ მართავს კონცერტს, რომელშიაც მ ლეობას მიიღებენ საუკეთესო ძალ

◆ გაძარცვა. 8 მარტს, ღამით, ხვანის ქუჩაზე რ. ფილიპოვს ქურ გაუძარცვეს სახლი და წაიღეს 1734 ღირებული ოჯახის ავეჯეულობა

◆ 12 მარტს, დ. ზესტაფონში გოლ მ. ხაინდრავა წაიკითხავს ცნ შემდეგ ომზე „თანამედროვე ომ მისი მიზეზები“. ამავე ლექციას ლ რი წაიკითხავს დ. ჭიათურაში. 1 წმინდა შემოსავლისა გადაიდება ომში ზარალებულ ჯარის კაცთა დამხმარე მიტეტის სასარგებლოთ.

◆ მთავრობამ უკვე გამოუშვა ახ სესხი. 100 მანეთიანი ფურცელი რება 95 მან. 5½% ით. მსურველს უძლია მიიღოს ქუთაისის ხაზინაში ნიშნული სესხის ფურცელი.

◆ 6 მარტს, ოსეთის სამხედრო გზ ავაზაკები დაუხვდენ მეურმეებს კ. ლო ბერიძეს და პ. ჭელიძეს და წაართვეს 44 ნეთი ფულით და საწერიმალო 60 მან. რებული.

სოციალისტური უტოპიები.

(წერილი მეათე).

ბაბეფი, სენ სიმონი და ფურიე—აი ის სამი დიდი მეოცნებე, რომელთაც შექმნეს სოციალიზმის სიზმარი, შემდგომი სოციალისტები კი მათს სოციალიზმს ემყარებოდენ, როგორც საფუძველს.

ლუი ფილიპის დროს სოციალისტური მიმართულების წიგნი აუარებელი დაიბეჭდა.

1839—1840 წლ. გამოვიდა რეიბოს თხზულება, რომელიც სენსიმონისა, ფურიესი და ოუენის მოძღვრების ნიჭიერ განმარტებასა და ცხოვრების აღწერას წარმოადგენდა და ზოგიერთს მათს უცნაურობასა და მანკიერებას ფარავდა.

პიერ ლერუ სენსიმონისტი იყო (მისი წიგნი „კაცობრიობის შესახებ“ 1840 წ.).

პრუდონი 1848 წლამდის დიდ პატივისცემაში არ იყო, ყველა უტოპიას უარჰყოფდა, უარჰყოფდა აგრეთვე კერძო საკუთრებას („რა არის კერძო საკუთრება?“, რომელსაც ქურდობას უწოდებდა, მაგრამ დადებითი, საკუთარი იდეალი არ შეუქმნია.

კაბემ 1834 წელს დააარსა ჟურნალი „სახალხო“ და, რადგან სამართალში მისცეს და სასჯელი გადაუწყვიტეს, გაიქცა ლონდონში, სადაც წაიკითხა ტომას მორუსი და დაუახლოვდა ოუენს, 1839 წელს საფრანგეთში კომუნისტად დაბრუნდა და 1840 წ. გამოაქვეყნა თავისი „მოგზაურობა იკარიაში“, 1842 წელს კი „ახალი ქრისტიანობა“. კაბეს უტოპია წარმოადგენს ანგელოსებით დასახლებულ სამოთხეს, რომელშიაც არ ვნება არც დავა, არც ჯიბრი. რესპუბლიკა მოითხოვს თითოეულისაგან, რის მოცემაც უკანასკნელს შეუძლია, და მაგიერად უთმობს ყველაფერს, რაც კი მისთვის საჭიროა. თითოეული თვითონ ირჩევს თავის შრომას. შრომა სავალდებულოა, მაგრამ იმავე დროს სასიამოვნოც. მუშაობა კოლექტიურია. ასე გასინჯეთ, მწერლებიც კი საერთო ქარხნებში სთხზავენ თავის ნაწარმოებთ. მთავრობას სასტიკი ცენზურა უპყრავს ხელში და ცუდს, მავნებელ წიგნებსა სწვავს ..

კაბემ სხვა წიგნებიც გამოსცა კიდევ. ამას გარდა 1847 წელს მან დააარსა ტეხასში წითელი მდინარის პირად კომუნა, რომელმაც მოკლე ხანს იცოცხლა.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, კაბეს უტოპია წარმოადგენს სენსიმონისა და ფურიეს უტოპიათა შეზავებას. ერთი მხრით იქ ნება მოკალეობა და სასტიკი ცენზურა, მეორე მხრით თავისუფლება და ბედნიერება. და, ცხადია, რომ ამ უტოპიაში უფრო აშკარად ჩანს შინაგანი ლოლიკური წინააღმდეგობა, ვიდრე სენსიმონისა და ფურიეს სისტემებში.

კაბეს უტოპია ბევრს არ აკმაყოფილებდა: კომუნისტები ემდუროდენ, ოჯახი რატომ არ გააუქმეო, ფურიერისტები—მოვალეობა და ცენზურა რისთვის დაგიწესებიაო, და სენსიმონისტები—ნიჭი რისთვის არ დააფასე და დაჩაგრეო!

ლუიბლანი იყო 1837 წელს რედაქტორი „გონიერებად“ სახელდებული ჟურნალისა, შემდეგ „პროგრესის მიმოხილვისა“.

უკანასკნელ ჟურნალში 1840 წელს მან გამოაქვეყნა თავისი „შრომის ორგანიზაცია“, რომელიც მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს კომინუსტური ქარხნები დაეარსებია. მისი ფიქრით დესპოტიზმს ადგილი არ ექნებოდა, თუ კი საყოველთაო საარჩევნო უფლება დაწესდებოდა და მთავრობის წარმომადგენელნი ხალხის მიერ არჩეული იქნებოდენ. მეორე მხრით მისი მოძღვრების თანახმად თითოეულს უნდა გაეკეთებია ის, რის გაკეთებაც შეეძლო, და მიეღო ის, რაც დასჭირდებოდა. დავა და მტრობა მოისპობოდა და მოქალაქენი თავთავის მოვალეობას ძალადაუტანებლად აასრულებდენ, როგორც დღევანდელი პატარა ოჯახის წევრები ასრულებენ.

ამგვარად ლუიბლანის კომუნიზმი წარმოადგენს ბაბეფისა, სენსიმონისა და ფურიეს უტოპიათა შეზავებას და, რაც ხსენებულ უტოპიათა შესახებ ვთქვით, იგივე უნდა განვიმეოროთ მისი უტოპიის შესახებაც. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი რამე. ლუიბლანის აზრი, საყოველთაო საარჩევნო უფლება და ხალხის მიერ მთავრობის წარმომადგენელთა არჩევა სავსებით მოსპობს დესპოტიზმსო, დიდხანს დარჩა მუშათა კლასის ეჭვმიუვალ მრწამსად, ვიდრე ამავე ქებულმა საყოველთაო არჩევნებმა ნაპოლეონ მესამე არ გააბატონეს. და, ცხადია, რომ სოციალისტური ორგანიზაცია, როგორც აუარებელი მუშის ერთად შემკრებელი, აუცილებლად დესპოტიური უნდა იყოს, რომ შრომის ორგანიზაცია არ დაიშალოს და საზოგადო წარმოების წესრიგი არ დაირღვეს, სულ ერთია, ხალხის მიერ იქნება არჩეული მთავრობა თუ არა.

საფრანგეთის კომუნისტურმა მოძრაობამ გზა გაიკვლია გერმანიაშიაც, სადაც ფეიერბახი და მისი მოსწავლენი სოციალური რევოლუციის აუცილებლობას ჰქადაგებდენ. ვეიტლინგი, მაგალითად, პოლიტიკურ რეფორმებს არაფრად არა სთვლიდა, თუ კი იმავე დროს კომუნიზმი არ განხორციელდებოდა.

მაგრამ გერმანელ კომუნისტთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო კარლ მარქსი, რომელიც 1842 წელს გაიქცა საფრანგეთში და აქედან 1845 წელს ლონდონში. 1847 წელს მან გამოაქვეყნა „სიღატაკე ფილოსოფიისა“, რომელიც წარმოადგენს პასუხს პრუდონის თხზულებაზე: „ფილოსოფია სიღატაკისა“ (1843 წ). ტუგანბარანოვსკი, პლეხანოვი და ბევრი სხვა მარქსისტი ხსენებულ წიგნაკს გენიოსურ ნაწარმოებად აღიარებენ, ჩემი ფიქრით კი მასში არა არისრა გენიოსური. ავტორი ემდურის პრუდონს, ვიწრო, პატარა მეწვრილმანის იდეალი გაქვსო, და კაპიტალისტური წარმოების მოუწესრიგებლობის შესახებ მხოლოდ სენსიმონისა და ფურიეს აზრებს იმეორებს.

1848 წელს კარლ მარქსმა გამოაქვეყნა თავისი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. მაგრამ ამ წიგნაკშიაც იმაზე მეტს ვერაფერს ვკითხულობთ, რაც ეწერა, მაგალითად, „მშვიდობიანი დემოკრატიის“ პეტიციაში (1841 წ.), რომელიც მოითხოვდა ანარქიული კონკურენციისა და კლასთა ბრძოლის წილ შრომის ორგანიზაციასა და კოლექტიურ მოწესრიგებას. მეორე მხრით, მარქსის მიერ დასურათებული კომუნიზმი—ნამდვილ ყაზარმისებურ ორგანიზაციას წარმოადგენს და ყოველსავე მიმზიდველობასა და პოეზიას მოკლებულია.

თავის თხზულებაში „პარიზის კომუნის შესახებ“ კარლ მარქსა იმ დემოკრატიულ—მუნიციპალურ თვითმართველობას, რომელიც 1871 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში პარიზის პროლეტარიატმა განახორციელა, კომუნიზმად ასაღებს, თუმცა, მეორე მხრით, მაგალითად, ლავროვი ჩივის, იმ დროს პარიზში კაპიტალისტების მიერ მუშების ექსპლოატაცია ძველებური წესითვე სწარმოობდაო. და, მაშასადამე, კომუნიზმს ადგილი არა ჰქონია.

მარქსი ისეთივე ანალიტიკოსი როგორც პრუდონი, და, როგორც ნასკნელს, არც მას შეუქმნია მომავ სოციალური იდეალის სინტეზი. მისი თავრესი თხზულება „კაპიტალი“—მო დავად ცალმხრივობისა გენიოსური ნაწ მოებია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ნამედროვე სოციალური ორგანიზმის ან ტომიურ დაკვეთასა და ანალიზს წარმოა გენს, მაგრამ, თუმცა მისი ანატომ ნესტარი შესანიშნავი სისწორით ჰკვე და სჭრის, ავტორი, როდესაც ახალ იდე სა ქმნის, ერთობ სუსტია, უმწეოა. როგორც მისი იდეალი, აგრეთვე წინასწარმეტყველება ყოველსავე მე რულ დობულებას მოკლებულია.

წარსული საუკუნის გასულს გამოქვ ორე წიგნი: „ასი წლის შ დეგ“—რომელიც კაბეს „იკარიაში ხაურობას“ მოგვაგონებს.

შემდეგ სოციალისტური წესწყობი ბის დასურათება ცადეს მარქსის კაუცკიმ და ენგელსმა, და, როგორც სალოდნელი იყო, მათ იდეალი პრო ლიტარისტული დისციპლინა უდევს ფუძვლად.

ნათქვამიდან ჩანს, რომ ვერც მემარცხენე შეერთებამ ვერაფერი სოციალისტური იდეალის დასურათება და დახასიათებას იმაზე მეტი, რაც მა, სენსიმონმა და ფურიემ სთქვეს. ბერძნა მათგანმა ყოველივე მომავ ლობა და პოეზია ჩამოაშორა, მაგ დაც, ფურიეს უტოპიას.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ანარქისტ ვერცხოწოდებულ „ანარქიულ კომუნი დაც“, რომელიც ფურიეს უტოპიას ლოვდება (იხ. კროპოტკინის თხზ ბანი)

ქუთაისის მცხოვრებთა საყურადღებოთ,
თეატრის ასაგებ თანხისთვის
ქვ. ჩილინგაროვების შენობაში თეატრის პირდაპირ
6-დან 13 მარტამდი
შეგიძლიათ მოითხოვოთ: ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, [illegible]
ცივი საუზმეული და მადნეული წყალი.
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი
იმღერებენ ცნობილი მომღერლები, წაიკითხავენ ლექსებს
დიასახლისებათ და სტუმრების სამსახურისთვის მოწვეული არიან ქუთაისის საზოგადოების ცნობილი ქალბატონები და ქალიშვილები.
სანოვაგეზე დანიშნულია გადაჭრილი ნიხრი. წვლილის გაღება სტუმრების ნებაზეა დამოკიდებული. ხურდა ყველას უბრუნდება. უ.

✦ ხვალ ქუთაისის ქართულ თეატრში, გამოჩენილი სკრიპკაზე დამკვრელი ვირტუოზი მარგარიტა ბერსონი მართავს კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა 5000 მანეთით დააჯარიმა ქუთაისის ფქვილის ვაჭარი იოსებ შაბათას ძე და რაფიელ იოსების ძე კაკიტელაშვილები. ფქვილის დაწესებულ ნიხრს ზევით გაყიდვისათვის.

✦ ქუთაისის ფქვილის მოვაჭრემ მ. შ. კაკიტელაშვილმა შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წინაშე, რადგანაც მას ქუთაისში მოტანილი ფქვილი დაუჯდა 14—15 მან. 62 კ., მოემატოს დაწესებულ ნიხრს 14 შ. ხოლო ვიდრე ამ საკითხს საოჯახო კომისია განიხილავდეს, მიეცეს მას მოწმობა, რომ ის ფქვილს არ მალავს და პოლიციამ არ დაატანოს ძალა გაყიდვისათვის.

✦ ფოთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ მიეცეს ქალაქს სესხადათ 87,177 მან. წლიურათ, ომისაგან გამოწვეულ ხარჯების დასაფარავად. ამავე თვითმართველობამ დასამტკიცებლათ წარმოუდგინა ქუთაისის გუბერნატორს ფოთის ქალაქის სანიტარულ ექიმის თანამდებობაზე მოსკოვის საიმპერატორო საექიმო ფაკულტეტის კურს დასრულებული, მედიცინის ექიმი სიმონ კონსტანტინეს ძე ლეჟავა და ქალაქის ტეხნიკის ადგილზე არტემ თემურაზის ძე ლომაია.

✦ დ. ხონის ბირჟის მეურმეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან სპეციალური კანტორა მეურმეებისთვის, სადაც შეიძლება მსურველმა იქირაოს ურემი.

✦ ს. ქოთინის (სენაკის მაზრა) და ს. ქვაბგას (ოზ. მაზ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება. ქოთიანეთის მომხმარებელი საზოგადოება „ლამპარი“.

✦ ფქვილის საკითხი. ქუთაისის ფქვილის მოვაჭრეებს: მ. კაკიტელაშვილს მ. მიშაშვილს და სხვებს დეპეშით ატყობინებენ სხვა და სხვა ადგილიდან სადაც მათ დაკვეთილი ჰქონდათ ფქვილი, რომ ზღვით გამოგზავნა ფქვილის შეუძლებელია, რადგანაც საიმედო დამზღვევი საზოგადოება არ აზღვევს საქონელს.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ამ საკითხს, რადგანაც ახლო მომავალში ქუთაისში შეიძლება პური სრულიად გამოილიოს.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში ჩამოვიდნენ რამოდენიმე ფრანგი, რომლებიც ყიდიან კოლოფ აბრეშუმის თესლს 3 მან. და 4 აბაზათ. ეს თესლი შემოწმებულია საუკეთესო ხარისხის თესლად მათ თან ახლავთ გამოცდილი აგრონომი, რომელსაც სურს გაეცნოს ჩვენი მხარის მდებარეობას და შეამოწმოს სად რა ჯიშის თუთის ხე გამოდგება.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ფელეტონში „კიდევ ყანწების გამო“ შემდეგი შეცდომა შეგვეპარა: მესამე გვერდის მეორე სვეტში, ფელეტონის 28 ე სტრიქონში დაბეჭდილია: თუმცა ბ. იაშვილების წყალობით ელენე დარიანი ქართველი ქალის .. უნდა იყოს: თუმცა ბ. იაშვილების წყალობით მეტსაც უნდა მოველოდეთ 29 სტრიქონში დაბეჭდილია: ელენე დარიანი ქართველი ქალის ბაგეთაგან გვესმის... უნდა იყოს: და თუ ეს ვეღავე ეს მართლაც ქართველი ქალის ბაგეთაგან გვესმის...

შეერთებული შტატების მილიტარიზმი.

(დასასრული იხ. „სამშობლო“ № 305.)

მთავრობის კანონ პროექტს კონგრესზე მოწინააღმდეგე ოპოზიცია გამოუჩნდა. ვუდრო ვილსონმა ოპოზიციის დასამარცხებლათ საავიტაციო მიზნით მოგზაურობა დაიწყო შტატებში. ასეთი მოგზაურობა ვილსონის მხრით მით უფრო საჭირო იყო, რომ მდგომარე წლის ნოემბერში პრეზიდენტის არჩევნები უნდა მოხდეს, რომლის დროსაც, სხვათაშორის, წამოყენებული იქნება მისი კანდიტატურაც. „ნიუორკჰერალდის“ ერთ ერთ ნუმერში მოთავსებულია ვილსონის საყურადღებო სიტყვის შინაარსი, წარმოთქმული სენ ლუიში გამართულ მიტინგზე, სადაც დაესწრო 15,000 კაცი. ვილსონმა მიმართა დიდძალ საზოგადოებას სიტყვით, რომელშიც შემდეგი აზრი გაატარა: ის ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ გააცნოს თავისს გერმანელთ ქვეყნის მდგომარეობა ვინაიდან ის დარწმუნებულია, რომ ამერიკელები არ შეუშინდებიან აუცილებელი მსხვერპლის წინ, როდესაც მათთვის აშკარა იქნება საერთაშორისო მდგომარეობა შეერთ. შტატებისა. მდგომარეობა კი ასეთია, რომ შეერთებული შტატები მშვიდობიანობას იცავს ყოველ ხალხთან სურს ასევე და რჩეს მუდამ შეერთებული შტატების მცხოვრებნი მრავალფეროვან ეროვნებათაგან შესდგებიან, მისი კეთილი განწყობილება ყოველ ხალხთან გულწრფელია, იმიტომ, რომ მათი ძარღვები მოძრაობს სისხლი მთელი ქვეყნის ყველა ერისა. სწორედ ამიტომ ომი, რომელიმე დიდ სახელმწიფოსთან სასტიკი რისხვა იქნებოდა შეერთებული შტატების მცხოვრებთათვის. ამერიკელებს არ ესაჭიროებათ მშვიდობიანობის მქადაგებლები, ვინაიდან თვით მათში ძლიერია სიყვარული მშვიდობიანებისადმი რაც შეეხება მე, სთქვა ვილსონმა, მე ყოვლად გულწრფელად ვემსახურები მშვიდიანობის საქმეს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ იწვის ჩემი მეზობლის სახლი, და ჩემი სახლის სახურავი კი წარმოადგენს ჩალას. ჩემი ბრალი იქნება, რომ უსინიდისო ხალხმა ისარგებლოს ჩემი მშვიდობიანობის მოყვარულობით, შემოვარდენ ჩემ სახლში, დაარღვიონ მშვიდობიანობა და უზრუნველობა? საფრთხე მოელის ჩვენს მშვიდობიანობას არა შიგნიდან არამედ გარედან. მე მოვალეთ ვთვლი ჩემს თავს გამოვაცხადოთ თქვენ, რომ ეს საფრთხე გვემუქრება ჩვენ დაულოდავათ, და მასთან არა იმიტომ, არამ მას და რაღაც ახალი, არა იმიტომ, რომ უკანასკნელ თვეებისა და კვირეების მნიშვნელობით მოხდა რაიმე ცვლილებები ჩვენს დამოკიდებულებაში სხვა სახელმწიფოებთან, არამედ იმიტომ, რომ ყოველივე ცვლილებას შეუძლია საფრთხე გამოიწვიოს წყალქვეშა ნავების ხელმძღვანელებს მიცემული რომელთა მიხედვითაც ისინი მოქმედებენ.

უმეტეს შემთხვევაში ეს ინსტრუქციები შედგენილია საერთაშორისო უფლების მიხედვით.

მაგრამ ყოველივე კომანდირს შეუძლია თავის ინსტრუქციის თავისუფალი ინტერპრეტაცია, როცა უნდა მაშინ გააჩინოს მსოფლიო ცეცხლი. ზღვაზე დიდძალი საქონელია შეერთებული შტატებისა.

ყოველ დღე ასეთ საქონელს ცეცხლთა სფერო უმზადებს საფრთხეს, რომლის გამოძიებაც ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენ პატივსა ვცემთ სხვა ტომის ხალხს და მათ უფლებას მანამდის, სანამ ისინიც პატივსა სცემენ ჩვენს უფლებებს.

ჩვენ ვთხოვთ ჩვენთვის მხოლოდ იმას რასაც ითხოვენ ისინი თავისთვის. ჩვენ არც ერთი მოთხოვნილება არ წაგვირდგენია მათთვის ისე, რომ არ დაგვესაბუთებიოს მათივე განცხადებებისა და გადაწყვეტილებებით. ვილსონი შეუძლებლათ სცნობს გადამეტებულ რიგორიზმის გამოჩენას. ის ანგარიშს უწევს იმ ფსიხოლოგიურ ატმოსფერას, რომელიც გამეფებულია ბრძოლის პროცესში. შესაძლებელია ამერიკელებსაც ბევრი რამ დაენახოსთ სხვა ქვეყანაში, რომ მათ უხდებოდესთ ბრძოლა თავის არსებობისათვის. ვილსონს სურს ნამდვილი და არა მოსაჩვენებელ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის წარმოება. ბატონებო, თქვენ იცით, როგორია მდგომარეობა; თქვენ იცით, რომ ერთ ერთი მებრძოლი მხარე სრულიად მოწყვეტილია გარეშე ქვეყანას თქვენ იცით, რომ ამერიკის საზოგადოებრივმა აზრმა ვერ შესძლო სრულიად ერთნაირად მოპყრობოდა ორივე მებრძოლ მხარეს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებულ შტატების მცხოვრებნი მიუხედავათ ამისა, გულწრფელად დაიცავენ ნეიტრალიტეტს და ყოველივეს მიუდგომლათ დააფასებენ.

ამერიკის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფათ, ამბობს ვილსონი, ეს მათი მისწრაფება განზრახვათა გულახდილობაა, მაგრამ სამწუხაროთ, მებრძოლ სახელმწიფოთათა მთავრობები ამერიკელთა განზრახვის სიწრფელეში არ რწმუნდებიან და სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი შტატების მშვიდობიანობის დარღვევისა.

ამიტომ ვილსონი მოუწოდებს ამერიკის მქადაგებლებს შესაიარაღებლათ, რომ მზათ იყვნენ მოსალოდნელ შემთხვევისათვის. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ კონგრესზე წაყენებული პროგრამა დასტურს მიიღებს: ამერიკელებს, არასოდეს არ დაუშურებიათ თავისი წვლილი სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლათო.

„არცერთ სახელმწიფოს ისეთი ძლიერი ფლოტი არ უნდა ჰყავდეს, როგორიც ამერიკას, ვინაიდან მას ბევრი სანაპირო აქვს დასაცავიო.

გარდა ამისა, თანამედროვე ტეხნიკის განვითარების წყალობით, პრინციპი თავისუფალ მეომართა ლაშქრის შესადგენათ დასაშვები არაა.

ვილსონი დარწმუნებულია, რომ საჭიროების დროს მას გამოეხმაურება ამერიკის ყველა მოქალაქე, მაგრამ საკითხავია რა საშუალებით და რით გამოცხადდება იგი?

მოვა თუ არა . იგი გაწვრთნილი იმ იარაღის ხმარებაში, რომელიც ჩვენ გვიკავია ხელში და ექნება თუ არა მას წარმოდგენა სამხედრო დისციპლინაზე და იქნება თუ არა შეიარაღებული იმ საჭირო ცოდნით, რომ თავიდან აიშოროს ადამიანთა მსხვერპლი? ვილსონი არ მოითხოვს ჯარს, მხოლოდ მას სურს გაწვრთნილი მეომარი მოქალაქენი ჰყავდეს. ვილსონი კონგრესზე წარდგენილ კანონ-პროექტის დაწვრილებით განხილვას არ ეხება. მისი განზრახვაა—გაატაროს იდეა, რომელიც, მისი აზრით, შეაერთებს ყველა ამერიკელს, განურჩევლათ პარტიისა.

არიან ისეთი დაბრმავებული ადამიანები, ამბობს ვილსონი, რომელნიც, მიუხედავათ იმისა, რომ ფაქტს პირდაპირ უყურებენ თვალით, მაგრამ სხვანაირათ ხსნიან. ასეთ პირებს უფლება აქვთ, რასაკვირველია, თავისებურათ ახსნან ესა თუ ის ფაქტი. და რამდენათაც ეს პირები ბევრს ილაპარაკებენ და დიდ აუდიტორიას მოიკრებენ, იმდენათ მხარე უზრუნველყოფილი იქნება უშიშროებისაგანო“.

დასასრულ ავტორი წერილისა რ. ლ. თავისი მხრით უმატებს, რომ, თუმცა, მართალია, ვილსონი თავის სიტყვაში არც ერთ სახელმწიფოს არ ასახელებს, მაგრამ გადაკვრით კი ბევრ მათგანს ეხება. სიტყვაში სრულებით ნახსენები არაა იაპონეთი და ეს გასაკვირიც არაა, რადგანაც ამერიკის შეიარაღება ყველაზე უფრო ადრე მიმართული იქნება იაპონეთიისკენაო.

„დ“

როგორც წინა წერილებში ვამბობდით, სოციალიზმის, ან, უკეთ ვსთქვათ, კომუნიზმის შეუძლებლობას ფსიხოლოგიური მიზეზი აქვს. ადამიანთა კრებული არ წარმოადგენს ჯოგს, რომლის თითოეული წევრიც მოკლებულია საკუთარ ინიციატივასა და დამოუკიდებელს შემოქმედებით მუშაობას. და თანამშრომლობა უნდა იყოს თავისუფალი და არა ნაძალადევი, რადგან მხოლოდ თავისუფლება აანაყოფიერებს შრომას.

გვეტყვიან: განა დღეს დიდი ქარხანა თითოეული მუშის ინიციატივას სრულიად არა სპობს? ეს მართალია ნახევრად. კროპოტკინს აქვს მშვენიერი გამოკვლევა, რომელშიაც აუარებელი ფაქტით ამტკიცებს, რომ წვრილ მექარხნეებს მეტი ინიციატივა და შემოქმედებითი თავისებურობა მოეპოებათ, ვიდრე დიდთ, და ამიტომ წარმოების გაუმჯობესობა პატარა ქარხანაში უფრო ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, ვიდრე დიდში.

მეორე მხრით, თუ დიდ ქარხანაშიაც დიდია ტეხნიკური პროგრესია, მიტომ, რომ თითოეული კაპიტალისტი ან კაპიტალისტთა კრებული იძულებულია ულმობელი ცილობის, კონკურენციის, გამო მეტი ინიციატივა გამოიჩინოს. სოციალისტურ საზოგადოებაში კი ეს სტიმული აღარ იქნება.

მეთვრამეტე საუკუნის უდიდესმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა ადამიანის მოქმედებას—კერძო, საკუთარი სარგებლობის ძიება დაუდო საფუძვლად.

სოციალისტების მამამთავარი ფურიე ფსიხოლოგიურ საფუძველზედვე ამყარებს კომუნიზმის შესაძლებლობას.

კარლ მარქსმა კი ფსიხოლოგიური მომენტი სრულიად უკუაგდო და მარტო მექანიკური საწარმოო პირობა აღიარა თავისი უტოპიის საფუძვლად.

ფურიეს შეხედულება მით იყო ცალმხრივი, რომ მან, ჯერ ერთი, ყურად არ იღო შემოქმედებითი მუშაობის სხვადასხვაობა და აქედან წარმოშობილი შეურიგებლობა კომუნის წევრთა შორის და, მეორე, თავის „აღმამოძრავებელ ვნებათაგან“ გამოსტოვა კიდევ ერთი უძლიერესი ვნება, ე. ი. თავდაცვის ალღო, რომელიც თითქმის ყველა სხვა ვნებაზე უფრო ძლიერია და რომლისაგანაც იბადება ეკონომიური ცილობა, კონკურენცია.

მექარხნე ებრძვის მექარხნეს, მეურნე მეურნეს, ხელოსანი ხელოსანსა და მუშა მუშას. და ეს ბრძოლა შობს ეკონომიურ პროგრესს.

თითოეული მათგანი ცდილობს გააუმჯობესოს თავისი წარმოება და გამოიჩინოს მაშასადამე საკუთარი ინიციატივა.

იმავე დროს თითოეული პიროვნება—სხვათა შორის მუშაც, რომ უპირატესობა მოიპოვოს, ცდილობს, რაც შეიძლება, უფრო დახელოვნდეს და განვითარდეს, ე. ი. შეიქმნეს კვალიფიკურ, განვითარებულ მუშად.

მაშ როგორია ჩვენი იდეალი? რას ვუპირისპირებთ სოციალიზმს?—ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებას, რომელსაც საფუძვლად ექნება, რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება კერძო პიროვნებისა და განცალკევებული ჯგუფებისა. ეს საფუძველი კერძო საკუთრებაა.

კერძო საკუთრება შობს ერთი მხრით დამოუკიდებელს საწარმოო ერთეულებსა და მეორე მხრით ეკონომიურ ცილობას, ე. ი. არის წყარო ეკონომიური წინსვლისა, პროგრესისა.

ჩვენს სოციალისტურ ლიტერატურაში ხშირად შეხვდებით ერთს უცნაურ აზრს: კოოპერატივები სოციალიზმის წინამორბედ საწარმოო წესს წარმოადგენენო. რა გაუგებრობაა! პირიქით, კოოპერატივები—კერძო საკუთრებას განამტკიცებენ, რადგან შეავსებენ იმას, რაც განცალკევებულ წარმოებას აკლია.

ერთი სიტყვით, ეს ინდივიდუალურისა და კოლექტიური საწარმოო წესთა მიზანშესაფერი შეერთებაა. წაართვით ამ შეერთებას ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი—და კოოპერაცია წამსვე დაირღვევა.

ავიღოთ მაგალითად მევენახეთა საზოგადოებანი, რომელნიც არა თუ ევროპაში, არამედ ჩვენშიაც კი პოულობენ ნიადაგს თითოეულ კერძო მევენახეს რომ საკუთარი ინტერესი არა ჰქონდეს, განა ის საზოგადო, საკოოპერაციო საქმისათვის გაირჯებოდა და იზრუნებდა? დიაღ! როდესაც კოოპერატივის თითოეულ წევრს საკუთარი ინტერესი აკლია, კოოპერატივი ჰკარგავს აზრსა და დანიშნულებას და მისი სიკვდილი აუცილებელია.

განვიმეორებ: ჩვენი იდეალი—ისეთი საზოგადო წესწყობილებაა, რომელშიაც ინდივიდუალური შემოქმედებითი მუშაობა კოლექტივური დისციპლინისაგან არ იჩაგრება და კერძო პიროვნება საზოგადო ორგანიზაციის მიერ დამონებული, ჩაყლაპული არ არის.

ამიტომ იმას კი არა ვცდილობთ, რომ კერძო საკუთრება, ეს საფუძველი ინდივიდუალური თავისუფლებისა, სრულიად მოვსპოთ, არამედ იმას, რომ კერწო მესაკუთრე, რაც შეიძლება, მეტი იყოს.

მაშასადამე იმაში კი არა ვხედავთ პროგრესს, რომ კერძო მესაკუთრენი გაპროლეტარდენ, არამედ იმაში, რომ, პირიქით, პროლეტარები შეიქმნენ კერძო მესაკუთრეებად.

და ეს უტოპია არ არის. ამერიკაში, ავსტრიაში, აფრიკაში და სხ. ეს—ჩვეულებრივი მოვლენაა.

პოზნანში პოლონელმა საზოგადო მოღვაწეებმა პატარა საგლეხო ბანკების საშუალებით პოლონელ პროლეტარებს აუარებელი მამული შესძენიეს.

ინგლისში, ომს რომ ხელი არ შეეშალა, დიდ მემამულეთაგან მიწების გამოსყიდვა და პროლეტართა შეღავათიანი პირობით ზედ დასახლება—უკვე პრაქტიკულ საკანონმდებლო საკითხს შეადგენდა.

და ჩვენი პოლიტიკაც სწორედ ამგვარი უნდა იყოს.

ჩვენი სოციალისტური პარტიები კი დღემდის სულ სხვა გვარად იქცეოდენ. ეუბნებოდენ ხალხს: მიწა საერთო უნდა იყოს და მოკლე ხანში საერთო შეიქნებაო, ერთი სიტყვით, გლეხს კერძო საკუთრების შეძენაზე გული აუცრუეს: რისთვის შევიძინო, ისედაც დამრჩებაო, ფიქრობდა და ამ განმანადგურებელი სოციალისტური ქადაგების ნაყოფი ის იყო, რომ ქართველმა [მისი და მისი წინაპრების ოფლითა და სისხლით მორწყული მამულ-დედული—ხელიდან გაუშვა.

სოციალისტების მეორე დიდი დანაშაული კიდევ ის იყო, რომ კლასთა უკიდურესი ბრძოლა აწარმოეს, რის გამოც ქართველ საქარხნო მუშას ქარხანა დაუკარგეს და გლეხს, როგორცა ვთქვით, მიწა შევეხები აქ მხოლოდ უკანასკნელ საკითხს. რა ავლადიდების მქონებელი ჩვენი თავად-აზნაურობა იყო, რომ მას გლეხები მიუსიეს? ვიდრე ეს მისევა მოხდებოდა, თავადთა და აზნაურთა მიწაწყალი თანდათან გლეხების ხელში გადადიოდა. შემდეგ კი, როდესაც გლეხებმა მათ ბოიკოტი და ბრძოლა გამოუცხადეს, მემამულენი იძულებული შეიქნენ თავისი მამულები ბანკებში დაეგირავებიათ. და იგივე სოციალისტები, რომელთა იაკობინურმა ტაქტიკამ დაღუპა მემამულეცა და გლეხიც, დღეს მემამულეს მამულიშვილობას უწუნებენ, გლეხს კი უნიათობისა და უინიციატივობისათვის ჰკიცხავენ და ჰგმობენ.

სამწუხაროდ ჩვენი ეროვნული ორგანიზმი დღესაც იმავე სოციალისტური სენით არის შეპყრობილი და სანფარები, სანდონები და სანრეები ერთმანეთს ედავებიან, ვინ უკეთესი სოციალისტები ვართო, და ყველა ერთად ქართველი ერის მტრად აღიარებს ქართველს ეროვნულ დემოკრატიას, რომელსაც სწადია, ქართველი ეროვნული სხეული სოციალისტური უტოპიებისაგან განკურნოს და განათავისუფლოს.

დროა გამოვფხიზლდეთ, გავილვიძოთ, სოციალისტური ჯანღი თვალთაგან მოვიშოროთ! დროა ოცნებას, სიზმარს, ფანტაზმასა და ქარის წისქვილებთან ბრძოლას თავი დავაღწიოთ, რეალურ გზას დავადგეთ და მხოლოდ განსახორციელებელი იდეალი გავიხადოთ მიზნად! დროა უტოპიების ნაცვლად მეცნიერება წავიმძღვაროთ წინ.

დასასრულ კიდევ მივმართავ ჩვენებურ სოციალისტებს—სოციალ-დემოკრატებს, სოციალისტ-რევოლუციონერებსა და სოციალისტ-ფედერალისტებს—და ვსთხოვ, მომცენ პასუხი: ვისი სოციალიზმი სწამთ? ბაბეფის, სენ-სიმონის, ფურიესი, კაბესი, ლუიბლანის, მარქსის თუ კაუცკი—მენგერის? და, თუ სწამსთ, რომელ ფსიხოლოგიურსა და სოციალურ საფუძველს ემყარებიან? და ჩემი მიმართვა მით უფრო კანონიერია, რომ არცერთ სოციალისტურ ჯგუფს სოციალიზმის შესახებ ქართულად ჯერ არა დაუწერია რა.

ველი პასუხს!

ვასილ წერეთელი.

დაგვიანებული დეპეშები.

პარიზი. სერბეთის ბატონიშვილი ცნობილი პაშიჩის თანხლებით პარიზს მოვიდა, საფრანგეთის ოფიციალური მთავრობა მათ დიდის ამბით შეეგებენ.

ლონდონი 4 მარტს ბრიტანეთის ნაღმოსნებსა და გერმანეთის კონტრ-ნაღმოსნებს ზეებრიუგესთან შეტაკება მოუვიდათ. ბრიტანეთის ნაღმოსნებზე ოთხი კაცი დაიჭრა: გერმანელთა ნაღმოსნები მიიმალენ.

პარიზი. ბელგეთის ფრონტი. ბეზინგესთან გერმანელთა რაზმი ბელგელთა თხრილებში შეიჭრა, მაგრამ ბელგელებმა ამოხოცეს. არგონებში ფრანგთა არტილერიამ დიდი სიმამაცე გამოიჩინა.

ქართველ ექიმთა საყურადღებოდ.

ჩემი აზრი თბილისში ქართველ ექიმთა საზოგადოების დაარსების საჭიროებისა, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ № 12 ბ-ნ კაპანაძის მიერ იყო დაახლოვებით გადმოცემული, ჯერჯერობით დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მას არ გამოეხმაურა არც ქართული პრესა და არც ამხანაგი ექიმები. მაშინ, როცა ეს საკითხი თავისი „პირველხარისხოვნებით, ჭეშმარიტად, საჭირბოროტოა და მნიშვნელობას არ არის მოკლებული. ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ამ ჟამად ცხოვრება ისეთი ჩქარი ტემპით მიაბიჯებს წინ, ისე ღრმად და ელვარებრ იცვლება მისი ომამდის ყოფილი სახე, რომ არაჩვეულებრივი სიფხიზლე და შეგუებაა საჭირო, რათა ცხოვრების სვლას უკან არ ჩამოვრჩეთ, მისგან გარიყული არ შევიქნეთ. დიალაც მკაცრი იქნება სინამდვილის მსჯავრი თუ კი ძველებურის ფხით დავხვდებით ახალს გარემოს.

მე, მგონია და ყველა ქართველი უნდა დამეთანხმოს, რომ დღეს ჩვენს წინაშე (და განა მარტო ჩვენს წინაშე!?) „ყოფნა-არყოფნის საკითხია აღმართული; ეროვნული არსებობისათვის ბრძოლამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია; და ჩვენი ვალია ყოველივე ამას ღრმად ჩავუფიქრდეთ. დღესავით ცხადია. რომ, თუ ყველა კულტურულ სფეროში არ გავიმაგრეთ პოზიციები შესაფერი ალღოს ალებით, წაგვლეკენ, გზიდან ჩამოგვიცლიან და ჩვენს ადგილს მომზადებული ელემენტი დაიკავებს; ასეთი გახლავთ ცხოვრების ულმობელი კანონი და ჩვენცა გვმართებს მეტი ფიქრი და მეტი საქმიანობა

შექმნა და გამტკიცება ცხოვრების ყოველს დარგში კულტურულ პოზიციათა—აი ლოზუნგი, რომელიც უნდა აღიბეჭდოს ყოველი შეგნებული ქართველი მოღვაწის გულში ჩვენი ნაციონალური სიცოცხლის შესანარჩუნებლად.

ამ წერილში კი მე მინდა მკითხველის ყურადღება, განსაკუთრებით კი ამხანაგ ექიმების მივაქციო ისეთს დარგს რომელსაც უფრო ვიცნობ—სახელდობრ მედიკურს.

განა სევდის მომგვრელი არ არის ის მოვლენა, რომ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც თავისი განსაკუთრებული კლიმატიური თვისებებით მსოფლიო აგარაკი უნდა იყვეს, ასე მაგრად გაუდგამს ფესვი საშინელს ავადმყოფობას, როგორიც არის ჭლექი, და დღითი დღე გვაცლის ხელიდან დაუღალავ მუშაკთ. სამშობლოს კანდელთ? საკმაოა გაიხსენოთ ა. ჯორჯაძე, ვაჟა-ფშაველა, ჯაფარიძე ალ. წულუკიძე, ან ჩვენი პოეტი ევდოშვილი, რეჟისორი შალიკაშვილი და მრავალი სხვა, რომ თქვენს გულში მწარე ნაღველმა დაისადგუროს. თვალი გადაავლეთ მოსწავლე ახალგაზდობას, მათს მკრთალსა და სასომიხდილს სახეს, გაიგეთ, რომ მათში დიდი ნაწილი ფილტვების ტუბერკულოზით არის ავად და ჩემთან ერთად თქვენც იკითხავთ:

რად ხდება ეს ასე. რად ნეტარებენ ჭლექის ბაცილები ჩვენს ქვეყანაში?

და მარტო ამ საკითხის ჯეროვანი შესწავლით, რომ შემოეფარგლა თავისი საქმიანობა მომავალს ქართველ ექიმთა საზოგადოებას, დამერწმუნებით, იგი ამით უმაღლეს საშვილიშვილო მისიას შეასრულებდა.

ვერ მიმითითებთ ერთსაც კი ისეთს მხარეს, სადაც მრავალ ფეროვნებით უხვსა და მდიდარს ბუნებაში, ამდენი განმკურნებელი მადნეული წყაროები იყვეს, როგორიც ჩვენში, საქართველოშია.

ვინ შეისწავლა მათი განმკურნებელი თვისებანი? ვინ სცადა მათი გამოყენება ჩვენი სნეულების საჭიროებათათვის?

აი საკითხები, რომელთა მეცნიერულად შესწავლა ფართო მოედანს მისცემდა ჩვენს ექიმებს თვისი ერუდიციაც გაეღრმავებიათ და საქმითი (პრაქტიკული) ნაყოფიც მოეტანათ.

(დასასრული ხვ'ლ.)

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ლონდონი. ბრიტანეთის მთავარ ჯართა ბანაკის ცნობა. ოფიციალური. საფრანგეთში ორივე მებრძოლი მხარე საარტილერიო ომს აწარმოებს. ძლიერი შეტაკება ხდება ლოოსთან და ჰოჰენცონლერნის რედიუტთან.

ავსტრიეთ-ბელგეთის ასპარეზი.

რომი. იტალიის მთავარ ჯართა ბანაკის ცნობა. ოფიციალური. მთელს ფრონტზე გაჩაღდა საარტილერიო ბრძოლა, რომელმაც სუმანას ველზე და მდინარე იზონცოს გასწვრივ უმწვერვალესობამდე მიაღწია. 3 მარტს მონტე კარლოს სიმაგრესთან ავსტრიელებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს, მაგრამ იტალიელებმა ადვილათ მოიგერიეს. წინა დღით დაკარგული სანთამარიის სიმაგრის ნაწილი იტალიელთა ჯარმა უკან დაიბრუნა. ჩიჯიონთან იტალიელებმა 500 მეტრის მანძილზე წინ წაიწიეს.

პარიზი. ოფიციალური. ორშაბათს გერმანელები ამაოთ სცდილობდენ წინ წამოწევას მაასის ნაპირზე. ბეტენკურთან და მორტომთან ბრძოლა ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. მალენკურის ტყეში გერმანელებმა დიდი ზარალით წინ წაიწიეს. საერთოდ, ვერდენის მდგომარეობას საფრანგეთის შტაბი სანუგეშოთ სთვლის.

ლონდონი. 6 მარტი. ბრიტანეთის საადმირალო იუწყება: დღეს, დილით ადრე, 50 ბრიტანეთ-ბელგეთ-საფრანგეთის ჰაეროპლანები და ჰიდროპლანები, რომელთაც თან ახლდათ საბრძოლო ტყვიის მფრქვევი აპარატები, ყუმბარები დაუშინეს გერმანელთა ჰიდროპლანების სადგურებს ზეებრიუგეს და გულტადს. აეროპლანებსა და ჰიდროპლანებს გერმანელებისთვის საგრძნობი ზარალი მიუყენებია და უკან უვნებლათ დაბრუნებულან. დაღუპულა მხოლოდ ერთი ბელგეთის აფიცერი.

ბუქარესტი. სოფიიდან იუწყებიან: საოლქოს საველე სამხედრო სასამართლოში ჯაშუშობის მომწყობთა საქმის გარჩევა გრძელდება.

სალონი. უკანასკნელ დღეებში სალონიკის ფრონტზე წვრილმანი შეტაკებები ხდებოდა. სოფიიდან იუწყებიან რომ იქ მისულა ერთი ბერი, რომელსაც განუცხადებია სგუსევთან ბულგართა ერთი პოლკი აჯანყდაო

სტამბოლიდან იტყობინებიან ციხის კომენდატმა გამოაცხადა იმ სომეხთა გვარები რომელნიც გუშინ სამხედრო სამინისტროს სადგომის წინ ჩამოახჩვეს იმათი გვარები: ბერმიანი, კარატიანი, პათაკიანი და ორი რედაქტორი.

ტოკიო. იაპონიის საფინანსო აგენტად საფრანგეთში დაინიშნა ქ. ტოკიოს მერი ფინანსთა მინისტრათ ნამყოფი თავადი ტოგოკიო.

ჩინეთის რევოლიუცია.

ურგა ილიასუტუის ჯარის სარდალი სამსახურიდან დაითხოვეს. მხოლოდ ამ პროვინციის გუბერნატორს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

კოპენჰაგენი. პენიდან ცნობაა ავსტრო-უნგრეთის ჯარის მთავარ-სარდალმა ბრძანება გასცა რომ დღეიდან ის ადგილები, სერბეთისა და პოლონეთისა, რომელიც ავსტრო-უნგრეთის მფლობელობაში იმყოფებიან, ვალდებული არიან სახელმწიფოს კასაში ხარკი შეიტანონო.

პროვინციის ცხოვრება.

ხ. სამიქაო. (სენაკის მაზრა).

ეს სოფელი სწავლა-განათლებისა და კულტურის მხრივ ძლიერ წინ სდგას მის მახლობელ სოფლებზე. აქ არსებობს: ორი ორკლასიანი სამინისტრო და სამრევლო სასწავლებელი, ბაზრობა ოთხშაბათობით და წვრილი კრედიტის ამხანაგობა. ამ სოფელში განზრახვა გვაქვს მოკლე ხნის განმავლობაში დავაარსოთ უფასო სამკითხველო და კოოპერატიული სავაჭრო სახლი. რადგან ეს სოფელი მოსახლეებით დიდია, აქ არის ორშტატიანი ეკლესია, სადაც მნათედ მსახურებს ღრმად მოხუცი ქურდუბაძე, რომელიც თითქმის 90 წლის იქნება და ძლივსღა დაარება. ამ ხსენებულ მოხუცის ხელშია ეკლესიის ყოველივე შემოსავალ-გასავლის ანგარიშები. ბევრი თხოვნის შემდეგ, როგორც იყო, აარჩიეს ახალი მნათე და წარსული წლის მარტის რიცხვებში მთავრობამ დაამტკიცა. იმ რიცხვიდან დღემდე ისევ მნათედ ის ძველი მნათეა და ეკლესიის ყოველივე ანგარიში არევ-დარეულია, წარსული წლის 17 ივლისიდან არავითარი ანგარიშები (300 მანეთამდი იქნება) წიგნაკებში არ არის შეტანილი.

როდესაც ეკლესიის კრებული მოვსთხოვთ მას ანგარიშებს, ის ცივი უარით გვიმასპინძლდება და გვეპასუხება: „ბლაღოჩინი მოვიდეს და ჩამიბარდეს ანგარიშები და თანამდებობაცო“. ნიადაგ ბლაღ. მ. ანტონ კეკელიას მოხსენებული ვართ, რომ მობრძანდეს, ანგარიშები ჩამოართვას ძველ მნათეს და ახლად არჩეულ მნათეს ჩააბაროს ყოველივე, მაგრამ მასი მოსვლის არა ჰშველა რა, თუმცაღა უთქვამს 15 დღეში გვპირდება ჩამოსვლას. ასეთი საქციელი და გულგრილად წინამძღოლობა საქმისა არ ეპატიება ასეთ განათლებულ პირს, როგორიც არის მამა კეკელია. ამისათვის უმორჩილესად ვსთხოვთ პრესის საშუალებით მ კეკელიას, რომ გაგვხადოს ღირსი მისი მობრძანებით და შეასრულოს თავისი მოვალეობა.

დ.

ღია პასუხი.

კორესპონდენტს „პეტრიას“.

იბეჭდება ბეჭდვითი სიტყვის წესდ. 134 მ. ძალით. (ცენზორის ბრძანებით) იბეჭდება შეუსწორებლად.

წარსული 1915 წლის 30 დეკემბრის გაზეთ „სამშობლოს“ 252 №-ში მოთავსებული იყო თქვენი წერილი, რომელშიდაც თქვენ საზოგადოების სახელით გამოდიხართ და შეცდომაში შეიყვანეთ პატივცემული რედაქციაც და მკითხველი საზოგადოებაც: ვითომ იმავე წლის 20 დეკემბერს ჭიათურის საკრებულოს საკუთრ ხველად მ. ბარათაშვილის მიწვევით საზოგადოებამ მე ზურგი შემიბრუნა, უარი მყო და ვითომ საზოგადოებამ დაამტკიცა, რომ მანვე დამგმო, გამკიცხა და მ. ბარათაშვილს კი თანაგრძნობა გამოუცხადა, ამიტომ ვითომ მე საკრებულოს კურთხევაზედაც აღარ მიმიწვევს; ვითომ ექიმმა და ფერშალმა გვერდი ამიარეს ქრისტეანი წესის შესრულებისათვის, ვითომ მთელმა საბჭოს მოსამსახურეებმა მიმართეს მათ მეუფებას იმერეთის ეპისკოპოსს, რათა დამარიგოს და გამასწოროს ცრუ დანოსებისთვის მ. ბარათაშვილზე და სხვა; ამდენ ცილის წამებასთან ესეც არ იკმარეთ და დანარჩენ საზოგადოებასაც იწვევთ ჩემი ზნეობრივი სასჯელისათვის და თქვენ ცალმხრივ ყალბ წერილს ათავებთ მითი, რომ თუ ზნეობრივმა სასჯელმა ჩემზე არ იმოქმედა, ევლაბრულათ—თქვენებურად ფიზიკურ სასჯელსაც კი მიქადით.

თქვენ შეუბრალებელ წერილზე პასუხი გაგცათ ვილაცა „მიუდგომელმა“ „სამშობლოს“ № 261, მაგრამ მითი მე არ დავკმაყოფილდი თუმცა შინაურულათ ვიცოდი, რომ თქვენი წერილი ყალბი იყო, იგი შეთხზული და შემუშავებული იყო ხელოვნურად სულ სხვა ნიადაგზე და სხვისი ზედგავლენით და ასეთი იმ 20 დეკემბერს „კლუბის“ კურთხევაზე არასფერიც არ მომხდარა, მაგრამ რომ უფრო დამტკიცებით და თვალსაჩინოთ გამომეკვლია საზოგადოების საყურადღებოთ თქვენი სიყალბე, მე იძულებული გავხდი და ოფიციალური წერილით შევეკითხე ჭიათურის საზოგადო საკრებულოს ამ წლის 20 იანვრიდან № 9 ჰქონდა თუ არა ასეთ შემთხვევას ადგილი კლუბის კურთხევაზე 20 დეკემბერს ჩემს საწინააღმდეგოთ?! რაზედაც კლუბის გამგეობამ ოფიციალურადვე მიპასუხა, საიდგანაც ცხადათ სჩანს რომ არავითარი ლაპარაკი ჩემზე და ჩემს მიუპატიჟებლობაზე „კლუბის“ მამასახლისებს და გამგეობას არ ჰქონიათ და თუ მ. ბარათაშვილი მიიწვიეს არა იმიტომ, რომ ვითომ მე მისი მიწვევით დამგმეს და გამდევნეს, არამედ იმიტომ, რომ სასწავლებლის მგალობელთა გუნდი იყო მიწვეული და მასთან, რასაკვირველია, იმავე სასწავლებლის სამღთო სჯულის მასწავლებელიც უნდა მიეწვიათ; მეორე მიზეზიც ის იყო, რომ მე იმ დღეს ქუთაისში ვიყავი; მე რომ მგალობლები არა მყავრან, ამითი საზოგადოება მე არასოდეს არ გამკიცხავს და არც დამგმობს. და თუ თქვენ პირადათ ჩემი „ფიზიანომია“ არ მოგწონსთ და რაიმე საპირადო გაქვსთ ჩემთან, თქვენ ხომ ერთეული ხართ და მთელ საზოგადოებას ხომ არ შეადგენთ?!.. ექიმი და ფერშალს ჩემთვის გვერდი არ აუვლიათ. რომელ ექიმზე მოგვითხრობთ, არ ვიცით: საავადმყოფოს გამგე ექიმს დიდათ პატივცემულ სიმონ დავითის ძე ჯაფარიძეს ჩემთვის თუ რაიმე დაუვალებია და საქმე ჰქონია, მეც დიდის პატივისცემით და მორჩილებით შემისრულებია; განსვენებულ სიმონ ქვარიანზე თუ ამბობთ, რომ მან გვირგვინის კურთხევა გარეშე მღვდელს შეასრულებია 1914 წლის აპრილში ეს იმიტომ, რომ მე რომ შინ ვერ მნახა, საქმის გადადებაც არ შეეძლო და იძულებული გახდა სხვა გარეშე მღვდლისთვის მიემართა, ეს გარემოება კარგათ ახსოვსთ, როგორც ჩემს შინაურებს, ისე განსვენებულ ქვარიანის ნათესავებს; ბატონ ექ. გრიგოლ მუხაძეზე თუ ამბობთ, მას სრულებით მე არ ავუთვალწუნებივარ პირიქით მან მე დიდათ დამაფასა: მას 1912 წელში ძმა გარდაეცვალა ჭიათურის საავადმყოფოში, მე მისი თხოვნით ყოველივე ქრისტიანული წესები შევუსრულე მისს ძმას ალექსანდრე მუხაძეს და გასამრჯელო მისგან რომ არ ავიღე, როგორც თანამსახურ პატივცემულ ექიმისაგან, მან მაინც იმდენათ დამაფასა, რომ 35 მანეთი ჭიათურის ასაშენებელ ეკლესიას შემოწირა, რაც კომიტეტს გადაეცა და კვიტანციაც მივართვით 1912 წლის ივლისის 15 № 51. ბატ. კლემენტი ექიმ კომპანიონზე თუ ამბობთ, რომ ჩემს საწინააღმდეგო საჩივარზე, რომელიც ერთმა ჯგუფმა 16 ოკტომბერს მისს მეუფებას გაუგზავნა, ხელი უწერია, ეს საჩივარი ისეთ ნიადაგზე შემიკაზმეს, რომელზედაც ბევრი ლაპარაკი არ ღირს, მხოლოდ ვიტყვი, რომ ექიმმა კომპანიონმა გულახდილათ აღიარა თავისი შეცდომა, რომ მან საჩქაროდ ხელი მოაწერა როცა მიუტანეს და თუ ჩემზე საჩივარი იყო, ეს კი არ სცოდნოდა. იმ საჩივარზე მხოლოდ 21 პირს უწერია ხელი და მათში მხოლოდ სამ დაინტერესებულ პირებს სცოდნიათ საჩივრის შინაარსი... და მთელ საბჭოს მოსამსახურეებს ჩემთვის კი არ უჩივლიათ, რასაც თქვენ სიცრუეს და სიყალბეს მოგვითხრობთ.

თუ ფერშალმა მე გვირგვინი არ მაკურთხევია, მე აქ სრულიადაც ვერ ვხედავ ჩემს თავს დამნაშავეს, პირიქით ამითი ჩემს თავს ვამაღლებ და საეკლე'იო წესწყობილებას და ეკლესიურ [illegible] სიფაქიზეს პატივს ვცემ, [illegible] უქმე და მარხვა არ შემეტყო [illegible] დროს გვირგვინი [illegible] ვლანძღე და არ [illegible] სიწმიდე როგორც მღვდელმა. ამაზე [illegible] რას უკადრავთ! ამასთანავე რედაქცია [illegible] წარდგენილია თქვენი წერილის [illegible] წყლებელი ოფიციალური დოკუმენტ [illegible] კი ვფიქრობ რომ თქვენმა სინდისმაც [illegible] ლვიძოს, ჩაგახედვოსთ გულში და [illegible] წითლოსთ ერთი იმიტომ, რომ [illegible] ჩამოფარებული სხვის „ვლაკიორად“ მოსულხართ და მთელი საზოგად[illegible] სახელით ჩემ პიროვნებას ფეხქვეშ თელ[illegible] უსამართლოთ, რაც თქვენთვის არა[illegible] დაუვალებია. მეორე ისაა, რომ თქვ[illegible] ზოგადო საკრებულოს ჩირქს სც[illegible] საავიტაციო და სადემონსტრაციო [illegible] დაგისახავსთ, მხოლოდ იმიტომ, რომ [illegible] გაგეშვებიეთ და სამარის კარებ[illegible] მიგეყვანეთ, მაგრამ ეხლა საზოგად[illegible] მიმხვდარია, საქმე რაშიდაც არის... ამის მეტი არა მეთქმის რა როგორ[illegible] მღვდელს „ღმერთმა გაპატიოსთ!“

თქვენივე უსამართლოდ დევნილი.

მღვდელი ბესარიონ [illegible]

რედაქტორი **ი. ციციაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლ**

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 50
„	— საღამ.	— 6 ს. 57
ბათომიდან	— დილით	— 1 ს. 25
„	— ღამის	— 2 ს. 23
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 8
ტყიბულიდან	—საღამოს	— 7 ს. 39
შორაპნიდან	— დილას	— 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისკენ	—დილის	— 11 ს. 55
„	— ღამის	— 1 ს. 7
ბათომისაკენ	— დილით	—5 ს. 30
„	— დილის	— 4 ს 27
ფოთისაკენ	— დღისის	— 4 ს 27
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს 20
შორაპნისაკენ	—დღით	— 5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

—მიღებულია დიდძალი—

საპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნევრიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ –სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—5 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყათ დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.